



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2019 წლის 3 მაისი

№ 79/04

თბილისი

საკორესპონდენტო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკების მართვის სახელმძღვანელო

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის მე-3 და 4³ პუნქტების და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. დამტკიცდეს საკორესპონდენტო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკების მართვის თანდართული სახელმძღვანელო.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ამ ბრძანების ამოქმედებამდე კომერციული ბანკებისთვის გაგზავნილი „კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკების სახელმძღვანელო“.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კობა გვენეტაძე

საკორესპონდენტო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკების მართვის სახელმძღვანელო

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - „სებ“) ზედამხედველობას დაქვემდებარებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისთვის (შემდგომში - მონიტორინგის განმახორციელებელი პირი), რომლებიც ამყარებენ საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობებს უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებთან და უწყვენ მათ მომსახურებას.
2. სახელმძღვანელო შედგენილია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამ სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს საკორესპონდენტო ურთიერთობების კონტროლის და მონიტორინგის ადეკვატური ღონისძიებების გატარებაში.
3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის, ამ სახელმძღვანელოს, საუკეთესო პრაქტიკის და რისკზე დამყარებული მიდგომის გათვალისწინებით, შეიმუშავოს შიდა ინსტრუქცია, რომლითაც განისაზღვრება საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარების პროცედურები, საკუთარი პრაქტიკის შესაბამისი რისკის მოდელები და მათი მართვის ღონისძიებები.
4. რესპონდენტი ინსტიტუტის რისკის ანალიზი და შეფასება, ასევე, გატარებული ღონისძიებები უნდა იყოს აღრიცხული და შენახული და მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარედგინოს საზედამხედველო ორგანოს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- ა) საკორესპონდენტო ურთიერთობა – საკორესპონდენტო ურთიერთობა, ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, არის ერთი კომერციული ბანკის (კორესპონდენტის) მიერ მეორესთვის (რესპონდენტისთვის) საბანკო მომსახურების გაწევა, მათ შორის, საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნით და მასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებით, აგრეთვე, ფინანსურ ინსტიტუტებს შორის მსგავსი ურთიერთობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ფასიან ქალაქდებთან დაკავშირებული ტრანზაქციების და ფულადი სახსრების გადარიცხვის მიზნით დამყარებულ ურთიერთობებს;
- ბ) კორესპონდენტი ინსტიტუტი - ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც რესპონდენტი ინსტიტუტის კლიენტ(ებ)ისთვის ახორციელებს ოპერაციებს ან/და რესპონდენტი ინსტიტუტს აწვდის სხვა ტიპის საკორესპონდენტო სერვისებს და მოქმედებს, როგორც კომერციული ბანკი, საბროკერო კომპანია ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერი;
- გ) რესპონდენტი ინსტიტუტი - ფინანსური ინსტიტუტი, რომლის კლიენტისთვისაც კორესპონდენტი ინსტიტუტი ახორციელებს მომსახურებას, ასევე, სარგებლობს სხვა

ტიპის საკორესპონდენტო სერვისებით კორესპონდენტი ინსტიტუტისგან და მოქმედებს, როგორც კომერციული ბანკი, საბროკერო კომპანია ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერი;

დ) Payable-through-account (PTA) - საკორესპონდენტო მომსახურება, რომლის დროსაც რესპონდენტის კლიენტს პირდაპირი წვდომა აქვს საკორესპონდენტო ანგარიშზე, საკუთარი სახელით ოპერაციების განხორციელებლად;

ე) ანგარიში - კომერციულ ბანკში, საბროკერო კომპანიასთან ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან ელექტრონული ფულის აღრიცხვის უნიკალური საშუალება;

ვ) ჩაბუდებული (Nested) საკორესპონდენტო ურთიერთობა - ურთიერთობა, რომლის დროსაც ტრანზაქციების განხორციელებლად ან/და სხვა ტიპის სერვისების მისაღებად საკორესპონდენტო მომსახურების გამოყენება ხდება პირდაპირი რესპონდენტის რესპონდენტ(ებ)ის (ჩაბუდებული ინსტიტუტების) მიერ;

ზ) ადმინისტრატორი - დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

მუხლი 3. საკორესპონდენტო ურთიერთობის რისკის არსი

1. საკორესპონდენტო ურთიერთობისას ერთი ფინანსური ინსტიტუტი (კორესპონდენტი) მეორე ფინანსური ინსტიტუტის (რესპონდენტი) კლიენტებისთვის ასრულებს ტრანზაქციებს. საკორესპონდენტო ურთიერთობა გულისხმობს, ასევე, ფინანსურ ინსტიტუტებს შორის სხვადასხვა მომსახურების განხორციელებას, მაგალითად, კომერციულ ბანკებს შორის დეპოზიტით მომსახურება, საერთაშორისო გადარიცხვები (მათ შორის, განხორციელებული ელექტრონული ფულით), სავალუტო ოპერაციები, ვაჭრობის დაფინანსებასთან (trade finance) დაკავშირებული ოპერაციები და სხვ., თუმცა, ყოველი მათგანი არ არის ერთი და იგივე დონის რისკის მატარებელი.
2. საკორესპონდენტო ურთიერთობის ფარგლებში ტრანზაქციების განხორციელებისას, კორესპონდენტი ინსტიტუტი ეყრდნობა რესპონდენტი ინსტიტუტის მიერ გატარებულ პრევენციული ღონიძირებებს, ამდენად, დამოკიდებულია რესპონდენტი ინსტიტუტის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხზე. ასეთ შემთხვევაში რესპონდენტი ინსტიტუტის რისკი გადადის კორესპონდენტ ინსტიტუტზე.

მუხლი 4. საკორესპონდენტო ურთიერთობის რისკები

1. საკორესპონდენტო ურთიერთობის თანმდევი დამახასიათებელი რისკები შეიძლება დაიყოს სამ ტიპად:
 - ა) სერვისის რისკი;
 - ბ) გეოგრაფიული რისკი;
 - გ) რესპონდენტი ინსტიტუტის რისკი.
2. სერვისის რისკი განისაზღვრება მომსახურების სახეობიდან და განხორციელებული ტრანზაქციიდან გამომდინარე. მაღალი რისკის სერვისის მიეკუთვნება, სულ მცირე ჩაბუდებული საკორესპონდენტო ურთიერთობა:

ა) იმისათვის რომ შეფასდეს ჩაბუდებულ საკორესპონდენტო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკები, კორესპონდენტმა ინსტიტუტმა, რესპონდენტი ინსტიტუტის მიმართ ამ სახელმძღვანელოთი გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად, უნდა დაადგინოს ასეთი ურთიერთობით სარგებლობის მიზანი, მათ შორის:

ა.ა) ჩაბუდებული ინსტიტუტების რაოდენობა და ტიპი, რომელსაც ემსახურება რესპონდენტი ინსტიტუტი;

ა.ბ) მდებარეობს თუ არა რესპონდენტი ინსტიტუტი და ჩაბუდებული ინსტიტუტები ერთი და იმავე იურისდიქციაში;

ა.გ) საჯარო წყაროების მიხედვით (მაგ. FATF-ის და მსგავსი ტიპის ორგანიზაციების ინფორმაციით), აქვს თუ არა ჩაბუდებული ინსტიტუტის იურისდიქციას და იმ ტერიტორიას სადაც ის ოპერირებს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ადეკვატური სისტემა, ასევე, ჩაბუდებული ინსტიტუტის რეპუტაცია;

ა.დ) სერვისის ტიპები, რომელსაც რესპონდენტი ინსტიტუტი სთავაზობს ჩაბუდებულ ინსტიტუტს;

ბ) კორესპონდენტმა ინსტიტუტმა, რისკის შეფასებისას ასევე უნდა გაითვალისწინოს მასა და რესპონდენტ ინსტიტუტს შორის საქმიანი ურთიერთობის ხანგრძლივობა (მაგალითად, თუ ურთიერთობა გრძელვადიანია, ეს შესაძლებლობას აძლევს კორესპონდენტ ინსტიტუტს, რომ უფრო სიღრმისეული ცოდნა ჰქონდეს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შესახებ) და რესპონდენტი ინსტიტუტის გამჭვირვალობის ხარისხი;

გ) კორესპონდენტმა ინსტიტუტმა ასევე უნდა შეაფასოს რესპონდენტი ინსტიტუტის კონტროლის პროცედურები და პრევენციული ზომები, რათა დარწმუნდეს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით რესპონდენტის მიერ ჩაბუდებული ინსტიტუტების მიმართ გატარებული კონტროლის პროცედურების ეფექტურობაში. ჩაბუდებულ ინსტიტუტებთან მიმართებით პრევენციული ზომები უნდა გატარდეს პერიოდულად და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია, მოთხოვნისთანავე, უნდა მიეწოდოს კორესპონდენტ ინსტიტუტს;

დ) კორესპონდენტ ინსტიტუტს შემუშავებული უნდა ჰქონდეს ზომები იმისთვის, რომ გამოავლინოს ჩაბუდებული საკორესპონდენტო ურთიერთობა, როდესაც რესპონდენტი არ ამჟღავნებს აღნიშნულს;

ე) რესპონდენტი ინსტიტუტი ვალდებულია რეაგირება მოახდინოს კორესპონდენტი ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილ იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც კავშირშია კორესპონდენტი ინსტიტუტის გავლით განხორციელებულ ტრანზაქციებთან.

3. თუ რესპონდენტი ინსტიტუტის მიერ ხდება ჩაბუდებული საკორესპონდენტო სერვისით სარგებლობა, კორესპონდენტმა ინსტიტუტმა ამ ტიპის საკორესპონდენტო ურთიერთობა უნდა განიხილოს მომატებული რისკის მატარებლად და რესპონდენტ ინსტიტუტს მიანიჭოს რისკის მაღალი დონე.

4. კორესპონდენტი ინსტიტუტმა არ უნდა დაუშვას საკორესპონდენტო ანგარიშზე რესპოდენტის კლიენტის პირდაპირი წვდომა საკუთარი სახელით ოპერაციების განსახორციელებლად (payable-through account).

5. გეოგრაფიული რისკი - გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირების და შეფასებისას, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს რისკები, რომლებიც უკავშირდება:

ა) იურისდიქციას, სადაც რესპოდენტი ინსტიტუტი ან/და მისი დედა კომპანია მდებარეობს/რეგისტრირებულია;

ბ) იურისდიქციას, სადაც ჯგუფის შვილობილი კომპანიები ან/და ფილიალები, ასევე, რესპოდენტის რესპოდენტები მდებარეობს/რეგისტრირებულია (თუ ადგილი აქვს ჩაბუდებულ საკორესპონდენტო ურთერთობას);

გ) გარიგებაში მონაწილე პირების რეზიდენტობის ან/და ძირითადი საქმიანობის იურისდიქციას;

დ) ოპერაციების ინიცირების, გავლის და დასრულების იურისდიქციებს.

6. გეოგრაფიული რისკის გაზრდის ფაქტორებად განიხილება რისკ-ფაქტორები დაკავშირებული იურისდიქციის¹:

ა) AML/CFT რეჟიმის (მათ შორის, კანონმდებლობის და ზედამხედველობის კუთხით) ეფექტიანობასთან;

ბ) ტერორიზმის დაფინანსების რისკის დონესთან;

გ) გამჭვირვალობის ხარისხთან და საგადასახადო შესაბამისობის საკითხებთან;

დ) იურისდიქციაში არსებული ორგანიზებული დანაშაულობის დონესთან.

7. რესპოდენტი ინსტიტუტის რისკი შეიძლება განპირობებული იყოს მისი მფლობელობის/მმართველობის/ორგანიზაციული სტრუქტურით, საქმიანობის სფეროთი, პროდუქტებით/მომსახურებით, სერვისის მიწოდების არხებით, კლიენტების კატეგორიებით. აღნიშნული რისკის გაზრდის ფაქტორები შეიძლება იყოს:

ა) რესპოდენტი ინსტიტუტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელები, მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირები (ადმინისტრატორები) ან/და ბენეფიციარი მესაკუთრეები წარმოადგენენ:

ა.ა) საყურადღებო/ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ პირებს;

ა.ბ) პოლიტიკურად აქტიურ პირებს;

ა.გ) საერთაშორისო სანქციებს (კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და განვითარებული ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციები) დაქვემდებარებულ პირებს;

¹ მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა მაღალი რისკის მატარებელ იურისდიქციებად უნდა განსაზღვროს სულ მცირე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული საყურადღებო ზონები და ასევე, სექტორების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის“ დანართი N2-ით განსაზღვრული ოფშორული ზონები.

- ბ) რესპონდენტი ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურა გაუმართლებლად რთულია;
- გ) რესპონდენტის, დედა კომპანიის, ჯგუფის შვილობილების და ფილიალების შესახებ ნეგატიური ინფორმაციის არსებობა;
- დ) რესპონდენტი ინსტიტუტის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პოლიტიკა და შიდა კონტროლის სისტემები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;
- ე) რესპონდენტი ინსტიტუტი, საკორესპონდენტო ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებს მაღალი რისკის შემცველ ტრანზაქციებს;
- ვ) რესპონდენტი ინსტიტუტის კლიენტების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ არარეზიდენტი პირები ან/და მაღალი რისკის იურისდიქციასთან დაკავშირებული პირები, ასევე, კლიენტები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მაღალი რისკის სფეროებთან (მაგალითად, სათამაშო ბიზნესი, ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებული საქმიანობა, არარეგულირებული საქველმოქმედო ორგანიზაციები, მოპოვებითი მრეწველობა და სხვ.);
- ზ) რესპონდენტი ინსტიტუტი საკუთარ კლიენტებს სთავაზობს მაღალი რისკის შემცველ მომსახურებას/პროდუქტებს;
- თ) რესპონდენტი ინსტიტუტის ან/და მისი მშობელი კომპანიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმართ იწარმოებოდა გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან/და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან/და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით სანქციები დაეკისრათ (როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე ადმინისტრაციული).

მუხლი 5. რესპონდენტი ინსტიტუტის შესაფერისობის დადგენა

1. კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა დაადგინოს წარმოადგენს თუ არა რესპონდენტი მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საკითხებში, საჯარო წყაროებზე დაყრდნობით მოიძიოს საკმარისი ინფორმაცია მისი რეპუტაციისა (მათ შორის, ისტორიულ ჭრილში) და მასზე განხორციელებული ზედამხედველობის ხარისხის, ადეკვატურობისა და ეფექტურობის შესახებ.
2. ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე რესპონდენტი ინსტიტუტის დედა და ჯგუფის შვილობილი კომპანიების/ფილიალების (ასეთი არსებობის შემთხვევაში) რეპუტაციას, ზედამხედველობის და რეგულირების ხარისხს და ეფექტურობას.
3. კორესპონდენტმა ინსტიტუტმა, გარდა რესპონდენტი ინსტიტუტისგან მიღებული ინფორმაციისა, დამატებით, საჯარო წყაროებიდან უნდა მოიძიოს საკმარისი ინფორმაცია რესპონდენტი ინსტიტუტის საქმიანობის არსის და ბიზნესის ბუნების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებული სერვისების და პროდუქტების, საქმიანობის არეალის, კლიენტების კატეგორიების, რეზიდენტობის, საქმიანობის სფეროების და სხვ. შესახებ.
4. კორესპონდენტმა ინსტიტუტმა საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას უნდა მოიპოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს საკორესპონდენტო

ურთიერთობის მიზანს. ეს მოიცავს, მათ შორის, იმის ცოდნასაც, თუ რა ტიპის სერვისის მიღება სურს რესპონდენტ ინსტიტუტს. ასევე, მხედველობაშია მისაღები იმ ტრანზაქციების მახასიათებლები (მოცულობა, ღირებულება, ტიპი), რომლის განხორციელებასაც გეგმავს რესპონდენტი.

5. კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა მოითხოვოს რესპონდენტი ინსტიტუტისგან ინფორმაცია მის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში შიდა კონტროლის განხორციელებასთან და პოლიტიკასთან დაკავშირებით (მათ შორის, ტრანზაქციების მონიტორინგის სისტემა, კლიენტების სკრინინგის პროცესის ეფექტურობა, თანამშრომელთა კვალიფიკაცია, დამოუკიდებელი (შიდა/გარე) აუდიტის ფუნქციის არსებობა და სხვ.) და შეაფასოს კონტროლის ხარისხი. კორესპონდენტი ინსტიტუტი უნდა დარწმუნდეს, რომ რესპონდენტი ინსტიტუტის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა და შიდა კონტროლის სისტემა დამაკმაყოფილებელია, ეფექტური და ადეკვატურია და შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
6. კორესპონდენტი ინსტიტუტი უნდა დარწმუნდეს, რომ რესპონდენტი ინსტიტუტი ახორციელებს თავისი კლიენტების იდენტიფიკაციასა და გადამოწმებას (მათ, შორის ყურადღება უნდა მიექცეს დისტანციური მომსახურების ფარგლებში კლიენტების იდენტიფიკაციისა და გადამოწმების პროცედურებს) საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად და, რომ იდენტიფიკაციისა და გადამოწმების პროცედურები დამაკმაყოფილებელია კორესპონდენტი ინსტიტუტისთვის.
7. მფლობელობისა და მმართველობის სტრუქტურა არსებით ზეგავლენას ახდენს რისკის მინიჭების პროცესზე. კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა მოიძიოს და გადაამოწმოს ინფორმაცია რესპონდენტის ადმინისტრატორებსა და ბენეფიციარ მესაკუთრეებზე (რეპუტაციის შესწავლის ჩათვლით). სიფრთხილის ზომები, მათ შორის, უნდა მოიცავდეს მონაცემების გადამოწმებას, იმისთვის რომ დადგინდეს მათი კავშირი სანქცირებული ან პოლიტიკუად აქტიური პირების სტატუსთან. მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ ზემოხსენებული პირების მიმართ გატარებული პრევენციული ზომები, რესპონდენტთან დაკავშირებულ რისკებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.
8. მმართველობის/მფლობელობის სტრუქტურაში პოლიტიკურად აქტიური პირის სტატუსის მქონე პირის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია მათი ფულადი სახსრების წარმომავლობის დადგენა, რეპუტაციის შესწავლა (განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ნებისმიერ ნეგატიურ ინფორმაციაზე AML/CFT კუთხით).
9. რისკის კრიტერიუმები მოიცავს ასევე ისეთი საკითხების შესწავლას, თუ როგორ მფლობელობაშია რესპონდენტი ინსტიტუტი (სახელმწიფო თუ კერძო), ხდება თუ არა მისი აქციების საჯარო შეთავაზება და მოქმედებს თუ არა მასზე ადეკვატური საზედამხედველო რეჟიმი.

10. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა საკორესპონდენტო ურთიერთობის რისკის შეფასებისას ასევე უნდა:

- ა) განიხილოს ავტორიტეტული საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციების მიერ რესპონდენტი ინსტიტუტისთვის მინიჭებული რეიტინგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ბ) საჯარო წყაროებიდან დაადგინოს მიმდინარეობდა თუ არა რესპონდენტი ინსტიტუტის ან/და მისი მშობელი კომპანიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინააღმდეგ გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან/და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით და რა სახის სანქციები (როგორც სისხლისსამართლებრივი ისე ადმინისტრაციული) დაეკისრა, ან/და რა ტიპის საზედამხედველო ზომები გატარდა რესპონდენტი ინსტიტუტის/დედა კომპანიის მიმართ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან/და ტერორიზმის დაფინანსების ნაწილში;
- გ) დარწმუნდეს, რომ რესპონდენტი ინსტიტუტის საქმიანობა არის ლიცენზირებული (ავტორიზებული), რეგულირებული და ექვემდებარება ზედამხედველობას.

11. ზემო განხილული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, კორესპონდენტმა ინსტიტუტმა, საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარებისას უნდა უზრუნველყოს რესპონდენტი ინსტიტუტის რისკის შეფასება, შესაბამისი კატეგორიის მინიჭება, ასევე, რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში - რისკის გადაფასება.

12. დაუშვებელია საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარება შელ ბანკთან/ფიქტიურ ინსტიტუტთან, ან ინსტიტუტთან, რომელსაც ურთიერთობა აქვს ასეთ ინსტიტუტთან. კორესპონდენტი ინსტიტუტი უნდა დარწმუნდეს, რომ რესპონდენტი არ წარმოადგენს შელ ბანკს/ფიქტიურ ინსტიტუტს და ასევე, რომ მას არ აქვს ურთიერთობა ამ კატეგორიის ინსტიტუტთან.

მუხლი 6. ინფორმაციის მიღება და ვერიფიკაცია

1. დაუშვებელია საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარებისას გამარტივებული პრევენციული ღონისძიებების გატარება. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა თავად უნდა შეაფასოს საკორესპონდენტო ურთიერთობების რისკი და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მინიჭებული რისკის დონიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად გადაწყვიტოს გამოიყენებს სტანდარტულ თუ გაძლიერებულ პრევენციულ ღონისძიებებს.
2. ახალი საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარებისას, კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა მიიღოს (მოიძიოს) ინფორმაცია რესპონდენტი ინსტიტუტისგან. ამასთან, კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა განახორციელოს რესპონდენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია სანდო/დამოუკიდებელ წყაროზე/ინფორმაციაზე დაყრდნობით.
3. სანდო/დამოუკიდებელ წყაროებად განიხილება:

- ა) ამონაწერები შესაბამისი რეესტრებიდან, სახელმწიფო და საზედამხედველო ორგანოების ინფორმაცია;
- ბ) საფონდო ბირჟის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია;²
- გ) უკანასკნელი ფინანსური ანგარიში (აუდიტირებული).
4. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს სპეციალური ბაზები (მაგ., swift KYC და bankers almanac), სადაც ერთიან ელექტრონულ ბაზაში განთავსებულია რესპონდენტი ინსტიტუტის შესახებ რელევანტური დოკუმენტაცია (ლიცენზიები, წესდებები, მენეჯმენტის შესახებ მონაცემები და ა.შ.).
5. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი უნდა დაეყრდნოს FATF-ის ანგარიშებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, FATF-ის ტიპის რეგიონალური ორგანიზაციები და სხვ.) მიერ ქვეყნების ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შეფასებებს და ყურადღება გაამახვილოს, მათ შორის, ზედამხედველობის ხარისხსა და ეფექტიანობაზე, გაეცნოს კომპეტენტური საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციას (მაგალითად, ქვეყნის რისკის შეფასების დოკუმენტს), მხედველობაში მიიღოს ქვეყნების მიმართ დაკისრებული გარკვეული შემზღუდავი ღონისძიებები, კერძოდ, ეკრძალება თუ არა რესპონდენტი ინსტიტუტს საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება, ან არსებობს თუ არა შემზღუდავა სხვა მსგავს სერვისებზე.
6. კორესპონდენტი ინსტიტუტი უფლებამოსილია რესპონდენტი ინსტიტუტის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების კონტროლის მექანიზმების შესწავლა განახორციელოს შემუშავებული კითხვარის საშუალებით ან/და პოლიტიკის (რომელიც, სულ მცირე, მოიცავს ამ სახელმძღვანელოს მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას) პირდაპირი გამოთხოვით. იმისთვის, რომ უკეთ იქნას გაგებული რესპონდენტი ინსტიტუტის მიდგომა ML/TF პრევენციულ ზომებთან მიმართებით, პოლიტიკის პირდაპირი გამოთხოვა აუცილებელია ეჭვის გაჩენის ან/და მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში.
7. კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის გადამოწმების მიზნით, მიზანშეწონილია კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უზრუნველყოს გასაუბრება რესპონდენტი ინსტიტუტის შესაბამისობის ოფიცერთან ან/და მენეჯმენტთან, ასევე, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით შიდა კონტროლის პროცედურების ეფექტურობის შეფასების შესახებ დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის გამოთხოვა.
8. გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს სულ მცირე იმ შემთხვევაში, როდესაც:

² საფონდო ბირჟის სანდოობის განსასაზღვრად იხელმძღვანელებთ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენის, იდენტიფიკაციისა და მათი ვინაობის გადამოწმების შესახებ სახელმძღვანელო“-ში დადგენილი კრიტერიუმებით.

- ა) რესპონდენტი ინსტიტუტის მფლობელობის ან/და მმართველობის სტრუქტურაში ფიქსირდება პოლიტიკურად აქტიური პირი;
- ბ) რესპონდენტი ინსტიტუტი უწევს სხვა ინსტიტუტებს მომსახურებას (ჩაბუდებული საკორესპონდენტო ურთერთობები);
- გ) რესპონდენტი ინსტიტუტის ადგილმდებარეობის/რეგისტრაციის იურისდიქცია მაღალი რისკის მატარებელია.

9. გაძლიერებულ პრევენციულ ზომებად განიხილება:

- ა) ორგანიზაციაში ადგილზე ვიზიტი, რესპონდენტის მენეჯმენტთან/შესაბამისობის ოფიცერთან შეხვედრა/გასაუბრება;
- ბ) გასაუბრება შიდა რეგულატორთან (ზედამხედველთან) ან/და უკანასკნელი შემოწმების აქტის გამოთხოვა;
- გ) გარე აუდიტის დასკვნის (რომელიც მოიცავს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით შიდა კონტროლის პროცედურების ეფექტურობის შეფასებას) გამოთხოვა.

მუხლი 7. საკორესპონდენტო ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები

1. საკორესპონდენტო ურთიერთობებში მონაწილე ფინანსურმა ინსტიტუტებმა საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარებისას უნდა მოახდინონ თავიანთი ვალდებულებების მკაფიოდ და დოკუმენტურად გაწერა, რამაც, სულ მცირე უნდა მოიცვას:
 - ა) კორესპონდენტი ინსტიტუტის მოთხოვნის შემთხვევაში, რესპონდენტის მიერ ტრანზაქციებსა და მათში მონაწილე პირების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (მაგალითად, კლიენტის რისკის დონე, ბენეფიციარი მესაკუთრეების ვინაობა, სახსრების წარმომავლობა, კონტრაგენტებთან ურთიერთობა, რესპონდენტთან საქმიანი ურთიერთობის მიზანი და განზრახული ხასიათი და სხვ.) დაუყოვნებლივი მიწოდების ვალდებულება;
 - ბ) კორესპონდენტი ინსტიტუტის მოთხოვნის შემთხვევაში რესპონდენტი ინსტიტუტის ვალდებულება კონკრეტული ტრანზაქციის დაუყოვნებლივ სიღრმისეული შესწავლის და დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შესახებ;
 - გ) მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში კორესპონდენტის უფლებამოსილება ტრანზაქციებზე შეზღუდვებისა და ლიმიტების დაწესების შესახებ;
 - დ) რესპონდენტი ინსტიტუტის ვალდებულება კონტროლის შესაბამისი პროცედურებისა და პროცესების შესახებ დამატებითი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდების შესახებ;
 - ე) ზომები, რომელსაც კორესპონდენტი ინსტიტუტი მიიღებს იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტს დაეკისრება პასუხისმგებლობა ფულის გათეთრების ან/და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნების დარღვევისთვის, და ამ ზომების შედეგები.
2. მხარეებს შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ ასევე მინზაშეწონილია მოიცვას, საკორესპონდენტო მომსახურებით სარგებლობის მიზანი და განზრახული ხასიათი, პროდუქტები და სერვისები, რომელთა მიწოდებაც მოხდება, რესპონდენტი

ინსტიტუტის ვალდებულებები ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით შესაბამისობასთან დაკავშირებით, პოტენციური შეზღუდვები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს კორესპონდენტმა ინსტიტუტმა და სხვ.

3. საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებული თანხმობის გაცემა უნდა მოხდეს ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

მუხლი 8. მუდმივი მონიტორინგი და რისკის გადაფასება

1. კორესპონდენტი ინსტიტუტი ვალდებულია აწარმოოს რესპონდენტი ინსტიტუტის მუდმივი (ხოლო, მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში გაძლიერებული) მონიტორინგი, მათ შორის, რესპონდენტი ინსტიტუტის შესახებ ინფორმაციის გადახედვა/განახლება. მუდმივი მონიტორინგი მოიცავს რესპონდენტი ინსტიტუტის მიმართ პრევენციული ღონისძიებების პერიოდულ გატარებას - რესპონდენტის და მასთან დაკავშირებული პირების (ადმინისტრატორები, ბენეფიციარები და სხვ.) პოლიტიკურად აქტიური და სანქცირებულ პირთა სიაში გადამოწმებას, ახალი ცნობების მოძიებას (მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ), ტრანზაქციების მონიტორინგს და სხვ. მონიტორინგის ინტენსივობა დამოკიდებული უნდა იყოს რესპონდენტი ინსტიტუტის რისკის პროფილზე.
2. საკორესპონდენტო ურთიერთობის მუდმივი მონიტორინგი საშალებას იძლევა დადგინდეს, ხომ არ არის საჭირო რისკების გადაფასება. გადაფასება შეიძლება მოხდეს ისეთი მოვლენების დადგომის შემთხვევაში, როგორცაა: რესპონდენტი ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურის, ადმინისტრატორების, მნიშვნელოვანი წილის მფლობელის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან/და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პოლიტიკის ცვლილება, ასევე, რესპონდენტი ინსტიტუტის საექვო ან უჩვეულო ქცევა, საექვო ან უჩვეულო ტრანზაქციების განხორციელება და ა.შ.
3. მაღალი რისკის მატარებელი საკორესპონდენტო ურთიერთობების შემთხვევაში, საჭიროა მენეჯმენტის რეგულარული ინფორმირება რისკების მონიტორინგის მიმდინარეობის პროცესის შესახებ.

მუხლი 9. ტრანზაქციების მონიტორინგი

1. საკორესპონდენტო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე, ტრანზაქციების მონიტორინგი, რისკების მიტიგაციის უმნიშვნელოვანეს ზომად განიხილება.
2. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს:

- ა) ტრანზაქციებს, რომლებიც მოიცავს საყურადღებო/ოფშორულ ზონებს, ან/და ასეთ ზონაში რეგისტრირებული პირების მონაწილეობით ხორციელდება;
- ბ) ტრანზაქციებს, რომლებიც მოიცავს ფიქტიურ კომპანიებს;
- გ) ტრანზაქციებს, რომელთა მოცულობა სისტემატურად (მაგ., დღეში რამდენჯერმე) ოდნავ ნაკლებია ვიდრე ადგილობრივი ან/და რესპონდენტი/კორესპონდენტი ინსტიტუტის მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებებისათვის დაწესებული ოდენობა;
- დ) ტრანზაქციებს, რომლებიც ტრანზაქციის ბუნების, მისი წარმომავლობისა და სხვა მახასიათებლების შენიღბვის მიზნით მოიცავს ქვეყნების გაუმართლებელ რაოდენობას;
- ე) დიდი ღირებულების/მოცულობის ტრანზაქციებს;
- ვ) ტრანზაქციებს, რომლებიც უჩვეულოა საკორესპონდენტო ურთიერთობის კონტექსტიდან გამომდინარე (არ შეესაბამება რესპონდენტი ინსტიტუტისთვის გაწეული მომსახურების მიზანს და მის ჩვეულ და მოსალოდნელ ტრანზაქციებს);
- ზ) ტრანზაქციებს, რომლებიც სხვა ქვეყნის გავლით იმავე ქვეყნის ფინანსურ ინსტიტუტში ბრუნდება;
- თ) საგადახდო მომსახურების ტრანზაქციებს, რომლებიც სრულად არ მოიცავს ინფორმაციას გადამხდელის და მიმღების შესახებ და სხვ.
3. გეოგრაფიული არეალის, ოპერაციის თანხის ოდენობის, გარიგებაში მონაწილე პირის ტიპის, საქმიანობის და სხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, კორესპონდენტმა ინსტიტუტმა შესაძლებელია განახორციელოს რისკების მართვის შემდეგი ზომები:
- ა) მოითხოვოს ოპერაციასთან ან/და მასში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- ბ) დეტალურად შეისწავლოს (სათანადო ინფორმაციის რესპონდენტისგან გამომთხოვის გზით) ტრანზაქციის დანიშნულება, მიზანი და საფუძველი;
- გ) შეაჩეროს ტრანზაქცია დამატებითი ინფორმაციის მოპოვებამდე;
- დ) ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელისგან მიიღოს თანხმობა;
- ე) უარი თქვას ტრანზაქციის შესრულებაზე;
- ვ) გააგზავნოს საექვო სტატუსით ანგარიშგება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში და სხვ.
4. ტრანზაქციის მონიტორინგისას, მნიშვნელოვანია, სახსრების გადინების კონტროლი სანქცირებულ პირთა ანგარიშებზე ან/და ქვეყნებში, ამდენად, კორესპონდენტმა ინსტიტუტმა, ოპერაციის განხორციელებამდე უნდა უზრუნველყოს ტრანზაქციაში მონაწილე პირების სკრინინგი სულ მცირე ტერორისტთა და ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიებში.
5. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით უნდა მიმართოს ყველა შესაძლო ღონისძიებას საექვო/უჩვეულო ტრანზაქციების სიღრმისეულად შესწავლისათვის, რათა დაადგინოს წარმოადგენს თუ არა კონკრეტული ტრანზაქცია უჩვეულოს ან საექვოს. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა ორგანიზაციის სიდიდის გათვალისწინებით უნდა

დანერგოს პროცედურები და სისტემები, რომელიც მის მიერ ჩამოყალიბებული ტიპოლოგიების მიხედვით დააფიქსირებს ტრანზაქციის საეჭვო ან/და რისკიან მახასიათებლებს.

6. მაღალი რისკის მატარებელი საკორესპონდენტო ურთიერთობების შემთხვევაში, კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს ტრანზაქციების გაძლიერებული მონიტორინგი, რომელიც მიზანშეწონილია ხორციელდებოდეს მიმდინარე რეჟიმში, ასევე, სისტემატური სახე უნდა ქონდეს მიმდინარე ტრანზაქციების შედარებას მოსალოდნელ ტრანზაქციებთან.
7. კორესპონდენტ ინსტიტუტს შეუძლია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რესპონდენტ ინსტიტუტს, რისკის მიტიგაციისათვის გასატარებელი ღონისძიების სახით, დაუწესოს ლიმიტები ტრანზაქციაზე ან/და შეზღუდვები კონკრეტულ ქვეყნებზე.
8. კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა გაითვალისწინოს გარიგებაში მონაწილე პირების რისკ-პროფილის ცვალებადობა და გაატაროს შესაბამისი მიტიგაციის ღონისძიებები.

მუხლი 10. საკორესპონდენტო ურთიერთობების შეწყვეტა

1. საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო საგადახდო სისტემისათვის საკორესპონდენტო ურთიერთობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა საკორესპონდენტო ურთიერთობის არ დამყარება/შეწყვეტა უნდა განიხილოს, როგორც უკიდურესი ღონისძიება, შესაბამისად, ყურადღებით უნდა შეაფასოს საკორესპონდენტო ურთიერთობის რისკები და დასაბუთებულად და ფრთხილად მიიღოს გადაწყვეტილება გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. თუ, რესპონდენტ ფინანსურ ინსტიტუტს გააჩნია მაღალი რისკი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კორესპონდენტმა უპირობოდ და დაუყოვნებლივ უნდა გაწყვიტოს/არ დაამყაროს საკორესპონდენტო ურთიერთობა ასეთ ფინანსურ ინსტიტუტთან. კორესპონდენტმა ფინანსურმა ინსტიტუტმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეაფასოს რესპონდენტი ინსტიტუტის რისკის წყარო, რისკის გაზრდის ფაქტორები, არსებული შიდა კონტროლის სისტემის დონე და ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ურთიერთობის დამყარების/გაგრძელების ან შეწყვეტის თაობაზე.
2. კორესპონდენტმა ინსტიტუტმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს/არ დაამყაროს საკორესპონდენტო ურთიერთობა, თუ:
 - ა) რესპონდენტი ინსტიტუტი ფიქტიური ფინანსური ინსტიტუტია ან/და საქმიანი ურთიერთობა აქვს ფიქტიურ ფინანსურ ინსტიტუტთან;
 - ბ) საკორესპონდენტო ანგარიშზე რესპონდენტის კლიენტს დაშვებული აქვს პირდაპირი წვდომა საკუთარი სახელით ოპერაციების განსახორციელებლად (payable-through account);

- გ) რესპონდენტი ინსტიტუტი, დედა კომპანია, ჯგუფის წევრი, ბენეფიციარი მესაკუთრე/ადმინისტრატორი მხილებულია ტერორიზმის დაფინანსებაში ან/და სანქცირებულია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისთვის;
- დ) რესპონდენტი ინსტიტუტი ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრე/ადმინისტრატორი მსჯავრდებულია ფულის გათეთრების საქმეზე;
- ე) რესპონდენტი ინსტიტუტის ბუნების, მისი პოლიტიკისა და საქმიანობის შესწავლის შედეგად წარმოიქმნება მნიშვნელოვანი რისკები, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კორესპონდენტი ინსტიტუტის რეპუტაციას და არ არსებობს ამ რისკების მიტიგაციის რეალური გზები ან/და შესაბამისი რესურსი;
- ვ) რესპონდენტი ინსტიტუტის პოლიტიკა და შიდა კონტროლის სისტემა არ არის ადეკვატური, ეფექტური და დამაკმაყოფილებელი ან/და არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და რესპონდენტი ინსტიტუტი არ აპირებს რაიმე ქმედითი ნაბიჯების გადადგმას აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;
- ზ) რესპონდენტი ინსტიტუტს ჩამოერთვა საქმიანობის უფლება (გაუქმდა ლიცენზია/რეგისტრაცია);
- თ) რესპონდენტმა ინსტიტუტმა წარმოადგინა ცრუ, ყალბი, ფიქტიური საბუთები/ინფორმაცია.

მუხლი 11. კორესპონდენტი ინსტიტუტის ვალდებულება ინფორმაციის (დოკუმენტაციის) შენახვასთან დაკავშირებით

კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა შეინახოს რესპონდენტი ინსტიტუტის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია (დოკუმენტაცია):

- ა) ფინანსური ინსტიტუტის დასახელების, მისამართის და ძირითადი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (პირის შექმნის და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი);
- ბ) ფინანსური ინსტიტუტის ლიცენზია ან რეგისტრაციის მოწმობა;
- გ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) ადმინისტრატორების და ბენეფიციარი მესაკუთრეების ვინაობის შესახებ ინფორმაცია და მათი საიდენტიფიკაციო მოანცემები;
- ე) გარე აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით შიდა კონტროლის პროცედურების ეფექტურობის შეფასებას (სულ მცირე მაღალი რისკის შემთხვევაში);
- ვ) საკორესპონდენტო ურთიერთობის შეთანხმების ან ხელშეკრულების ასლი, სადაც გაწერილია მხარეების უფლება-მოვალეობები;
- ზ) რესპონდენტი ინსტიტუტის მიერ შევსებული კითხვარი (მაღალი რისკის შემთხვევაში, ასევე კონტროლის სისტემის ჩარჩოს ამსახველი პოლიტიკა), რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს რესპონდენტი ინსტიტუტის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შიდა კონტროლის სისტემა;
- თ) რესპონდენტი ინსტიტუტის მოსალოდნელი ტრანზაქციები/ბრუნვა საკორესპონდენტო ანგარიშზე;

- ი) რესპონდენტის განცხადება, რომელშიც ის ადასტურებს რომ ურთიერთობა არ აქვს ფიქტიურ ფინანსურ ინსტიტუტთან/პირთან;
- კ) რესპონდენტის განცხადება, რომელიც დაადასტურებს, რომ ის შეესაბამება თავის იურისდიქციაში არსებულ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- ლ) კორესპონდენტი ფინანსური ინსტიტუტის მიერ რესპონდენტი ინსტიტუტის შესახებ დოკუმენტირებული რისკის მიმოხილვა (მათ შორის, მოძიებული ინფორმაცია რეპუტაციის, მმართველობის და მფლობელობის სტრუქტურის, კლიენტების კატეგორების, შიდა კონტროლის სისტემების შესახებ და სხვ.) და შეფასება;
- მ) იმ ზომების ჩამონათვალი რომელიც გაატარა რისკების მართვის მიზნით (ზომის გატარების თარიღის მითითებით). აღნიშნულმა ასევე უნდა მოიცვას ზომები, რომლებიც იყო უშედეგო და ასევე, მიზეზი, თუ რატომ იყო ეს ზომები წარუმატებელი.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. ეს სახელმძღვანელო არ ათავისუფლებს რესპონდენტ ინსტიტუტს, საჯარო წყაროებზე დაყრდნობით, გონივრული ზომების ფარგლებში, შეისწავლოს კორესპონდენტი ინსტიტუტის რეპუტაცია, საქმიანობის არსი, განხორციელებული ზედამხედველობის ხარისხი, გეოგრაფიულ რისკებთან დაკავშირებული ფაქტორები და საჭიროების შემთხვევაში, გაატაროს რისკების მართვის შესაბამისი ზომები.
2. რეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებს შორის არსებული საკორესპონდენტო ურთიერთობები განიხილება დაბალი რისკის მატარებლად, თუმცა, აღნიშნული არ ათავისუფლებს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ტრანზაქციების მონიტორინგის და რისკის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ზომების გატარების ვალდებულებისგან. კორესპონდენტმა ინსტიტუტმა უნდა დაადგინოს ხომ არ უწევს რეზიდენტი რესპონდენტი არარეზიდენტ რესპონდენტებს მომსახურებას და აღნიშნულის შემთხვევაში გაატაროს ამ სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული ღონისძიებები.